საქართველოს მთავრობის განკარგულება

№932 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

„სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ ზოგიერთი ღონისძიების გატარების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის №2696 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ ზოგიერთი ღონისძიების გატარების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 დეკემბრის №2696 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეთხოვოს სს „ქართულ ფილმს“, არა უგვიანეს 2016 წლის 30 სექტემბრისა, სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია ამ განკარგულებით გამოყოფილი თანხის მიზნობრიობის შესახებ.“.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი